ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3390175

ნომერი: AR1513491

თარიღი : 13.06.2017

გაცემის თარიღი : 11.07.2017

გაცნობის თარიღი : 12.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვიტალი გულორდავა პ/ნ 62007001693
- გაგრა ს. ალახაძე ციტრუსების მეურნ. N 25 ბ. 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ფანჩატური
  დემონტაჟი
- ფანჩატური
  ახალი მშენებლობა
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- შადრევანი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, გამზირი აკაკი წერეთელი #2, სს „ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი“-სა და შპს „დინამო არენა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ფანჩატურის დემონტაჟს, ფანჩატურის ახალ მშენებლობას, ლანდშაფტურ მშენებლობასა და შადრევანის რეკონსტრუქციას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი: # 01.13.07.019.027; რეგისტრაციის # 882017388070, თარიღი: 17/05/2017; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზები, მინდობილობა) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, გამზირი აკაკი წერეთელი #2, სს „ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი“-სა და შპს „დინამო არენა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ფანჩატურის დემონტაჟს, ფანჩატურის ახალ მშენებლობას, ლანდშაფთურ მშენებლობასა და შადრევანის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.